ქალაქ თბილისის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახური

№ 12/15344-7

"13" 05 2013 წ.

მოქ. გიორგი ხიზანიშვილს

მის.: ქ.თბილისი, გურამიშვილის №39[3]

ტელ: 570 90 39 49

გ ზ ა ვ ნ ი ლ ი

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს მოთხოვნათა შესაბამისად გეგზავნებათ, ქ. თბილისის მერიაში თქვენ მიერ შემოტანილ №12/19344-7 ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება – ქ. თბილისის მერის მოადგილის 2013 წლის 8 მაისის №868 განკარგულების სახით.

დანართი: ქ. თბილისის მერის მოადგილის 2013 წლის 8 მაისის №868 განკარგულება

პატივისცემით,

ადმინისტრაციული დავების განხილვისა
და სამართლებრივი აქტების მომზადების
განყოფილების უფროსი გიორგი კვირიკაშვილი

ქალაქ თბილისის მერია

განკარგულება № 868

" 8 " მაისი 2013 წ.

მოქალაქე გიორგი ხიზანიშვილის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე

ქ.თბილისის მერიაში 2013 წლის 25 თებერვალს მოქალაქე გიორგი ხიზანიშვილმა შემოიტანა №12/19344-7 ადმინისტრაციული საჩივარი, ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 6 თებერვლის №532688 გადაწყვეტილების თაობაზე.

ადმინისტრაციული საჩივრის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 181-ე მუხლთან შესაბამისობის შემოწმების შემდეგ, ადმინისტრაციულმა ორგანომ განიხილა ადმინისტრაციული საჩივარი.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 96-ე და 194-ე მუხლების შესაბამისად, წარმოდგენილ საჩივარზე გარემოებათა გამოკვლევისა და დაინტერესებულ მხარეთა მიერ მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით 2013 წლის 7 მარტს გაიმართა ზეპირი მოსმენა, რომელზეც გამოცხადდნენ: საჩივრის ავტორი გიორგი ხიზანიშვილი და მოწინააღმდეგე მხარე – ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელი - ოთარ ნარჩემაშვილი.

ადმინისტრაციულ საჩივარში განმარტებულია, რომ მოქალაქე გიორგი ხიზანიშვილი არ ეთანხმება ქ. თბილისის მერიის სიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 6 თებერვლის №532688 გადაწყვეტილებას. ზეპირი მოსმენის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დააზუსტა მოთხოვნა და ითხოვა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 6 თებერვლის №532688 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. ასევე აღნიშნა, რომ მან, როგორც ფიზიკურმა პირმა, მიმართა არქიტექტურის სამსახურს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დასადგენად, ხოლო, სამსახურმა 2013 წლის 6 თებერვლის №532688 გადაწყვეტილებით უპასუხა, რომ არაერთხელ იყო გამოტანილი გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და სამსახური რჩებოდა იგივე პოზიციაზე.

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელი არ დაეთანხმა წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარს და დამატებით განმარტა, რომ 2009 წლის 29 დეკემბრის №12/98351-13 და 2009 წლის 2 ოქტომბრის №12/71350-13 განცხადებებით არქიტექტურის სამსახურს მიმართა შპს „ზამბახმა" ქალაქმშენებლობითი პირობების დადგენისათვის. სამსახურის 2009 წლის 23 ოქტომბრის №12/71350-13 გადაწყვეტილებით, განმცხადებელს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. შესაბამისად, რამდენადაც საკითხზე ერთხელ უკვე

ქ. თბილისი 0160, ა. შარიშავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 23 78 189, ფაქსი: (+995 32) 23 78 154

იქნა მიღებული გადაწყვეტილება და 2013 წლის 28 იანვრის მდგომარეობით არ იყო გამოვლენილი ახალი გარემოება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლიდან გამომდინარე, განმცხადებელს, საკითხის არსებითად განხილვის გარეშე, უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

საქმეზე დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების მოსმენის, არსებითი მნიშვნელობის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების, წარმოდგენილი საქმის მასალების „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მოთხოვნათა შესაბამისად გამოკვლევის შემდეგ ადმინისტრაციული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო დადგენილად მიიჩნევს, რომ 2012 წლის 28 იანვარს მოქალაქე გიორგი ხიზანიშვილმა №AR1105837 განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს და ითხოვა ქ. თბილისში, საქართველოს სამხედრო გზაზე, ახმეტელის ქუჩის და აგს „გრეკო"-ს შორის არსებულ №01.13.01.022.130 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა. ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა 2013 წლის 6 თებერვლის №532688 გადაწყვეტილებით განმცხადებელს აცნობა, რომ სამსახურის მიერ არაერთხელ ეთქვა უარი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებას, რადგან დღევანდელი მდგომარეობით არ არის აღმოჩენილი ახალი გარემოებები, გამომდინარე აქედან, სამსახურმა განუმარტა, რომ რჩება იგივე პოზიციაზე და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად არ მიაჩნია აღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება. საქმის მასალებიდან დგინდება, რომ 2008 წლის 1 დეკემბრის №1174 ბრძანებით სამხედრო გზაზე, ახმეტელის ქუჩის და აგს „გრეკო"-ს შორის არსებულ №01.13.01.022.130 მიწის ნაკვეთის მიმართ დადგენილ იქნა სამშენებლო გამოყენების პირობები. ვინაიდან ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 31 მარტის №41 დადგენილების საფუძველზე აღნიშნული ტერიტორია გამოყოფილია დიღმის ტყე-პარკის გამწვანების სპეციალურ ზონად, ხოლო ამავე დადგენილების მე-2 პუნქტის „ა" ქ/პუნქტის თანახმად, ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს დაევალა ტყე-პარკის ზონაზე არ დაუშვას სამშენებლო სამუშაოების წარმოება, აღნიშნული ბრძანება ბათილად იქნა ცნობილი, ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 17 ივლისის №1879 ბრძანებით. საქმეში წარმოდგენილი მასალებიდან დგინდება, რომ 2009 წლის 2 ოქტომბრის №12/71350-13 განცხადებით ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს მიმართა შპს „ზამბახის" დირექტორმა ოთარ კერვალიშვილმა და მოითხოვა №01.13.01.022.130 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა. 2009 წლის 8 ოქტომბრის ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა, ქ. თბილისში, ახმეტელისა და ლუბლიანას ქუჩებს შორის მდებარე მიწის ნაკვეთისთვის განაშენიანების რეგულირების გეგმარებითი დავალების გაცემის საკითხი და კომისიის გადაწყვეტილების თანახმად ქ. თბილისში ვაკე-საბურთალოს რაიონში, საქართველოს სამხედრო გაზაზე ხმეტელისა და ლუბლიანას ქუჩებს შორის მდებარე დიღმის ტყე-პარკის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების გაცემას ეთქვა უარი, ასევე კომისიის გადაწყვეტილების თანახმად საკითხი განმეორებით უნდა ყოფილიყო განხილული შენიშვნების, წინადადებების, რეკომენდაციების გათვალისწინებით, დიღმის ტყე-პარკის სრული გენგეგმის

გადაწყვეტილების და ტერიტორიის ფუნქციური მნიშვნელობის დამუშავების მიზნით. ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 23 ოქტომბრის №12/71350-13 წერილით შპს „ზამბახს“ უარი ეთქვა ხსენებულ მიწის ნაკვეთზე სამშენებლო პირობების დადგენაზე, რადგან 2009 წლის 8 ოქტომბრის თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის ოქმის თანახმად შემუშავებულ და დამტკიცებული უნდა ყოფილიყო დიღმის ტყე-პარკის და განაშენიანების რეგულირების გეგმა. 2011 წლის 16 დეკემბრის №12/169671-13 წერილით კი შპს ზამბახს უარი ეთქვა, განცხადების განმეორებით განხილვაზე. 2012 წლის 21 ნოემბრის №439142 და 2013 წლის 6 თებერვლის №532688 გადაწყვეტილებებით სამსახურმა მოქ. გიორგი ხიზანიშვილს უარი უთხრა საკითხის განხილვაზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „განცხადება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თაობაზედაც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების, აგრეთვე საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება წარდგენილი იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, ან თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.“ აღნიშნული მუხლის და არსებული ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანოს, მიაჩნია, რომ არქიტექტურის სამსახურის პოზიცია, რომელიც საფუძვლად დაედო 2009 წლის 23 ოქტომბრის №12/71350-13 გადაწყვეტილებას მოკლებულია სამართლებრივ დასაბუთებას, რადგან არც იმ პერიოდისათვის და არც დღეისმდგმარეობით აღნიშნულ ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმა დამტკიცებული არ ყოფილა. შესაბამისად დაინტერესებული მხარის მიერ ახლადაღმოჩენილი ან ახლადგამოვლენილი გარემოებები, რომელიც განაპირობებდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებას წარდგენილი ვერ იქნებოდა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქმის განმხილველ ადმინისტრაციულ ორგანოს დადასტურებულად მიაჩნია, რომ სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 6 თებერვლის №532688 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის გარეშე.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 60^1 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები“. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, “ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება”.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" IV, VI, XIII თავების, ამავე კოდექსის მე-60[1] მუხლისა და 201-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის" 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად:

1. დაკმაყოფილდეს მოქალაქე გიორგი ხიზანიშვილის 2013 წლის 25 თებერვლის №12/19344-7ადმინისტრაციული საჩივარი.
2. ბათილად იქნეს ცნობილი ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 6 თებერვლის №532688 გადაწყვეტილება.
3. განკარგულების ასლები გადაეგზავნოთ მხარეებს.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), ერთ თვეში.

ქ.თბილისის მერის მოადგილე დავით ალავიძე

ქალაქ თბილისის საკრებულო

გადაწყვეტილება № 10-24

"11" სექტემბერი 2009 წ

„დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

1. "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის თანახმად ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა შეტანილ იქნეს ცვლილებები „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილებით დამტკიცებული დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკა ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი

...ელი ხასიათის გადაცდომების შედეგად ზონების შესწორების საკითხები (9 ერთეული).

...ხსნილი მოთხოვნები განეკუთვნება მიმდინარე, სივრცით-გეგმარებით და სამშენებლო ...ნეითარების სამუშაო პროცესის დროს, კონკრეტული და დეტალური საპროექტო საქმიანობით გამოვლენილ კორექტული ხასიათის უზუსტობებს და მოითხოვს შესაბამის ჩასწორებებს.

40. სატრანსპორტო ზონა 1 შეიცვალა სარეკრეაციო ზონა 1

თამარაშვილის ქუჩა № 6-ის მიმდებარე ტერიტორია. შეცდომით განისაზღვრა სატრანსპორტო ზონა 1, რეალურად გამწვანებული ტერიტორიაა (9003)

41. საცხოვრებელი ზონა 6 შეიცვალა საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2

მაზნიაშვილის ქუჩა №20. პირველი მიწის ნაკვეთია, ამდენად უნდა იყოს ერთი ზონა (9306)

42. სამრეწველო ზონა 1 შეიცვალა ზოგად საცხოვრებელ ზონად

ხოშარაულის ქუჩა №27-ს მიმდებარედ. რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე აქ საცხოვრებელი სახლებია (9312)

43. სამრეწველო ზონა 1 შეიცვალა სარეკრეაციო ზონა 2

მინდელის ხიდან. მინდელის ხიდის ბოლოს სამრეწველო ზონა გეგმარებითად გაუმართლებელია (9316)

44. სარეკრეაციო ზონა 3 შეიცვალა საცხოვრებელ ზონა 1

ტაბახმელა. მიწები დარიგებული იყო როგორც საკარმიდამო ნაკვეთები (9320)

45. სატრანსპორტო ზონა 1 შეიცვალა საცხოვრებელ ზონა 6

ხომლელის ქუჩის მიმდებარედ. შეცდომით იყო დადებული სატრანსპორტო ზონა 1. (9338)

46. სატრანსპორტო ზონა 1 შეიცვალა საცხოვრებელ ზონა 3

ხომლელის ქუჩის მიმდებარედ. შეცდომით იყო დადებული სატრანსპორტო ზონა 1. (9339)

46 I. რეკრეაციული ზონა 2 შეიცვალა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1

წყნეთის გზატკეცილის მიმდებარედ. შეცდომითაა დადებული რეკრეაციული ზონა 2. (9620)

46 II. რეკრეაციული ზონა 2 შეიცვალა საცხოვრებელ ზონა 2

წყნეთის გზატკეცილის მიმდებარედ. შეცდომითაა დადებული რეკრეაციული ზონა 2. (9619)

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურისა და ქ. თბილისის საკრებულოს ერთობლივი კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად (1 ერთეული).

საზღვრის ცვლილების საკითხი განხორციელდება ერთობლივი კომისიის მიერ ადგილზე საკითხის შესწავლის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) შეიცვალა ზოგად საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-2.


47. **დიღმის ტყეპარკი.** აღმაშენებლის ხეივნის გასწვრივ რეალურად მოქმედ ობიექტებსა და ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 31 მარტის №41 დადგენილებით შექმნილ დიღმის ტყე-პარკს შორის ერთობლივი კომისიის მიერ თითოეული ზონის ინტერესების გათვალისწინებით დადგენილი საზღვრის შესაბამისად მოხდეს ხეივნის გასწვრივ ტერიტორიის გადაკეთება საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ად. (11681)

4. გადაწყვეტილების პროექტის ავტორია ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური.

5. გადაწყვეტილების პროექტის წარმდგენია ქ. თბილისის მერი.

47

სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) შეიცვალა საზოგადოებრივ-საქმიან ზონად 2-დ. დიღმის ტყეპარკი. აღმაშენებლის ხეივნის გასწვრივ რეალურად მომქმედ ობიექტებსა და ქალაქ ტბილისის საკრებულოს 2006 წლის 31 მარტის № 41 დადგენილებით შექმნის დიღმის ტყეპარკს შორის ერთობლივი კომისიის მიერ თითოეული ზონის ინტერესების გათვალისწინებით დადგენილი საზრვირის შესაბამისად მოხდეს ხეივნის გასწვრივ ტერიტორიის გადაკეთება საზოგადოებრივ-საქმიან ზონად 2-დ.



მასშტაბი 1 : 3000